საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/06/2024

MES 6 24 0000719125

გადაწყვეტილება

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 27 ნოემბრის №35/8738 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1611655, 28/11/2023) წარმოდგენილ იქნა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 08 დეკემბრის №1673628 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 31 იანვრის №93578 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ადრეული ბავშობა, განვითარება და განათლებაის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 7 მარტს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		**x**		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		**x**		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		**x**		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 7 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული საერთო შეფასება. თუმცა, განახორციელა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, 1.5 რეკომენდაცია - "პროგრამაში წარმოდგენილი პირველი შედეგის მისაღწევად, რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს შინაარსის უკეთ გაგებას და ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, ვინც შესაძლოა არ ფლობდეს ინგლისურს", რედაქტირდა შემდეგი სახით „რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება.“ ასევე, ამოღებულ იქნა 1.5 სტანდარტის მეორე რეკომენდაცია - "გარდა ამისა, უნდა დაზუსტდეს სილაბუსში წარმოდგენილი თითოეული თემისთვის საკითხავი მასალის ოდენობა" და 1.1 კომპონენტს დაემატა რჩევა - „დაწესებულებამ განახორციელოს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა.“

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ადრეული ბავშობა, განვითარება და განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2025 წლის 1 ივლისამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ადრეული ბავშობა, განვითარება და განათლების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 21 ივნისის №724089 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება.;
- გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებული იყოს დეტალური ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების კრიტერიუმების ან საფუძვლების შესახებ;
- რეკომენდებულია დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
- აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო კრიტერიუმები და მათზე დაყრდნობით შემუშავდეს გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების რუბრიკები/ სქემები ყველა საგანმანათლებლო კურსისთვის, რაც გაზრდის შეფასების სანდოობას და სწავლის შედეგების გაზომვადობას;
- ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“ (მუხლი 4, პუნქტი 7);
- სასწავლო გარემოში ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით უნდა განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებები, მათ შორის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ეს შეიძლება მოიცავდეს ფაკულტეტისა და პერსონალისთვის სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებს და დამხმარე მექანიზმების შემუშავებას მარგინალიზებული ფენის სტუდენტებისთვის;
- უნდა გამოიკვეთოს ბალანსი აკადემიურ, მათ შორის აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა დარგობრივი მიმართულებით, რაც პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს;
- დარწმუნდით, რომ ბიბლიოთეკაში არის სილაბუსებში მითითებულ ყველა ძირითადი ლიტერატურა (მათ შორის ელექტრონული რესურსები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- დაწესებულებამ განახორციელოს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა;
- სასურველია გაძლიერდეს კომუნიკაცია სტუდენტებსა და პროფესორ - მასწავლებლებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის ღია დიალოგს, უკუკავშირის გაცვლას და პრობლემების დროულად გადაჭრას. მოუწოდეთ სტუდენტებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და წარმოადგინონ უკუკავშირი გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებისა და პროგრამის კოორდინატორებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით;
- სასურველია, წარმოდგენილ ბიუჯეტში დეტალურად იყოს აღწერილი პროფესიული განვითარების, სამეცნიერო კვლევისა და სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო თანხები, რათა თვალსაჩინო იყოს ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ზუსტი ხარჯები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 7 ივნისს.
6. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე, 2024 წლის 7 დეკემბრამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0112 - სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო კორპუსები A, B, და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 7 ივნისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	6 თვე (2024 წლის 7 დეკემბრამდე)
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 1ივლისი